დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის 2015 წლის 25 სექტემბერს დადებული №383 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი

14 დეკემბერი 2015 წელი

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქალაქ ქუთაისის მერიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის 2015 წლის 25 სექტემბერს დაიდო №383 ხელშეკრულება 1899 (ერთი ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარზე, რომლითაც განსაზღვრულია მიმწოდებლისაგან სატრენინგო მომსახურების (CPV 80500000) შესყიდვა, კერძოდ სკოლის მიერ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების ნანა აბესაძის (პ/ნ 53001016063), დიმიტრი კუტივაძის (პ/ნ 60002015101) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლის დავით ჭიჭინაძის (პ/ნ 60001000519) გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლება „საჯარო მმართველობა და ადმინისტრირების პროგრამის“ ფარგლებში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის №7946-01 11.12.2015წ. წერილის, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის MES 31501274365 8.12.1015წ. მომართვის და ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის № 2-41 ბრძანების თანახმად ირკვევა, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების დროს გაიპარა ტექნიკური შეცდომა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, მუნიციპალიტეტის მერის შოთა მურღულიას სახით, (4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3: ტელ: 24-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, მისი დირექტორის ქეთევან ჯაყელის სახით (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. N13) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2015 წლის 25 სექტემბერს დადებული №383 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 3798 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარს;

2. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2015 წლის 25 სექტემბერს დადებული №383 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

შემსყიდველი:

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3

ს/კოდი: 212721170

მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში

ქ. თბილისი „სახელმწიფო ხაზინა“

ბ/კოდი: TRESGE22; ა/ა 200122900

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

შოთა მურღულია

მიმწოდებელი:

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

მის: ქუთაისი.ნიკეას ქ. N13

ს/კ 212852055

ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბანკის კოდი: TRESGE22

ა/ნ: 707697119

დირექტორი:

ქეთევან ჯაყელი

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახური
GEORGIA
Administration
of Kutaisi Municipality

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-04-93
3 Rustaveli Ave. Kutaisi. Georgia. 4600
Tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-04-93

N 7946-01
11/12/2015

7946-01-3-201512111453

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამსახურის უფროსს ბატონ ირაკლი ავალიანს

ბატონო ირაკლი,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით (№14481/01) მომართა ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლამ, რომელიც გვაცნობებს, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის ხელშეკრულების გაფორმების დროს მოხდა ტექნიკური შეცდომა ხელშეკრულების ღირებულების პუნქტში და ნაცვლად 3798 ლარისა აღნიშნულია 1899 ლარი.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ტექნიკური შეცდომის გასწორება.

იხილეთ დანართი.

პატივისცემით,

ზვიად ჯავახია

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

ადმინისტრაციული სამსახური

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

4600, ქუთაისი, ნიკეას ქუჩა, 13. ტელ./ფაქსი (431) 23 26 00, 23 26 01.
ელ. ფოსტა: zspa@zspa.ge www.zspa.ge

MES 3 15 01274365

08/12/2015

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერს ბ–ნ შოთა მურღულიას

ბ–ნ შოთა,

როგორც მოგეხსენებათ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N383 25/09/2015 წ. რომლის საგანს წარმოადგენდა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის (შემსყიდველი) მხრიდან სატრენინგო მომსახურების (CPV 80500000) შესყიდვა, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლების ნანა აბესაძის (პ/ნ 53001016063), დიმიტრი კუტივაძის (პ/ნ: 60002015101) და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლის დავით ჭიჭინაძის (პ/ნ:60001000519) გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება „საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის„ ფარგლებში.

სსიპ ზურაბ ჟვანიას სკოლაში სწავლა დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმ საჯარო მოხელეთათვის, რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში. (სამიზნე რეგიონები). არასამიზნე რეგიონებისათვის დადგენილია სწავლის საფასური, რომელიც დამტკიცებულია ინდივიდუალურ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე და რომლის თანახმად სწავლის საფასურია 1266 (ათას ორას სამოცდაექვსი) ლარი. (იხ. თანდართული ფაილი)

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებისას მოხდა ტექნიკური შეცდომა ხელშეკრულების ღირებულების პუნქტში და ნაცვლად 3798 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი ლარის) აღნიშნულია 1899 (ათას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი.

გთხოვთ უზრუნველყოთ ტექნიკური შეცდომის გასწორება და თანხა განისაზღვროს 3798 (სამი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი) ლარით.

პატივისცემით,

№ 14481/01
09/12/15

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო
ადმინისტრირების სკოლა
დირექტორი
ქეთევან ჯაყელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზურაბ ჟვანიას სახელობის
სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა
დირექტორი

ქუთაისი

"27" 04. 2015 წ.

ბრძანება № 2-41

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული 2014 წლის 12 სექტემბერს N 2–67 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 მაისის №57/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის" წესდების მე-6 მუხლის „დ" პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულ 2014 წლის 12 სექტემბრის N 2–67 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: დამტკიცდეს სწავლების საფასური დანართი N 1–ის შესაბამისად, იმ მსმენელთათვის რომელთა სწავლის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული სსიპ ზურაბ ჟვანაის სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბიუჯეტით;
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სკოლის დირექტორის მოადგილეს–ფინანსების, მატერიალურ–ტექნიკური რესურსების მართვის, შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დარგში ბ–ნ გოჩა ტუღუშს;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ.N11)

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის

სახელმწიფო ადმინისტრირების

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი /გოჩა ტუღუში/

სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში 30 დღიანი ტრენინგების ღირებულება პროგრამების მიხედვით

	პროგრამის დასახელება	სწავლის საფასური (ლარი)	სასტუმროს მომსახურება (ლარი)	სამჯერადი კვება (ლარი)	სრული საფასური (ლარი)
1	საჯარო ორგანიზაციების მართვა	1266	511	581	2358
2	ადამიანური რესურსების მართვა	1266	511	581	2358
3	ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში	1266	511	581	2358
4	სახელმწიფო შესყიდვები	1266	511	581	2358
5	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კურსი	1266	511	581	2358

N	მომსახურების პაკეტი	აღწერა	ღირებულება (ლარი)				
			საჯარო ორგანიზაციების მართვა	ადამიანური რესურსების მართვა	ფინანსური მენეჯმენტი და შიდა აუდიტი საჯარო სექტორში	სახელმწიფო შესყიდვები	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის კურსი
1	მომსახურების პაკეტი N1	მხოლოდ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა (	1266	1266	1266	1266	1266
2	მომსახურების პაკეტი N2	სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა (200 საათი) და მსმენელის უზრუნველყოფა სასტუმროს მომსახურებით	1777	1777	1777	1777	1777
3	მომსახურების პაკეტი N3	სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა (200 საათი)და მსმენელის უზრუნველყოფა კვების მომსახურებით	1847	1847	1847	1847	1847
4	მომსახურების პაკეტი N4	პაკეტში შედის სრული კომპლექტი, სასწავლო პროგრამაში მონაწილეობა (სულ 200 საათი), მსმენელის უზრუნველყოფა სასტუმროსა და კვების მომსახურებით	2358	2358	2358	2358	2358

* შენიშვნა: მოცემულ ფასებში გაერთიანებულია ყველა ტიპის გადასახადი